ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4788682

ნომერი: AR1717888

თარიღი : 11.11.2019

გაცემის თარიღი : 12.12.2019

გაცნობის თარიღი : 12.12.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ნიკოლოზ ყიფშიძეს ქუჩა, N 2გ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლევან ტურძელაძე პ/ნ 61001058093
- ქობულეთი 9 აპრილის ქ. N 13

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 08 ივნისის №4005781 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 11

ნოემბერს №AR1717888 განცხადებით მომართა ლევან ტურძელაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 08 ივნისის №4005781 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 08 ივნისის №4005781 ბრძანებით, სამსახურის 2011 წლის 05 სექტემბრის № 01/2657 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 08 ივნისიდან 2019 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად (განცხადების რეგისტრაცია: №882019787553; მომზადების თარიღი: 25/09/2019 18:35:36) ქ. თბილისში, ნიკოლოზ ყიფშიძის ქუჩა №2გ, №01.14.14.002.101 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს ი.ბ.ა ,,მზიანეთი'' (საიდენტიფიკაციო ნომერი: 205281461). ამავე ამონაწერის მიხედვით შპს ,,იქსორი'' (საიდენტიფიკაციო კოდი: 405102829) წარმოადგენს ბინების, საოფისე და ავტოსადგომების ფართების მესაკუთრეს.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით შპს ,,იქსორი''-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 405102829) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ვალერიან კირკიტაძე, ხოლო 2019 წლის 11 ნოემბრის №AR1717888 განცხადებით მოგვმართავს ლევან ტურძელაძე. სამსახურში წარმოდგენილია ვალერიან კირკიტაძის მიერ, განმცხადებლის სახელზე გაცემული მინდობილობა (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: 191435646, რეგისტრაციის თარიღი: 26.11.2019).

სამსახურის 2018 წლის 08 ივნისის №4005781 ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირებულია ამხანაგობა ,,მზიანეთი'', 2019 წლის 11 ნოემბრის №AR1717888 განცხადებაზე წარმოდგენილია ნუგზარ ორდენიძის, როგორც ამხანაგობა ,,მზიანეთი''-ს თავმჯდომარის მიერ გაცემული თანხმობა. ამავე განცხადებით წარმოდგენილია ამხანაგობა ,,მზიანეთი''-ს სადამფუძნებლო ხელშეკრულება, რითაც განსაზღვრულია თავმჯდომარის უფლებამოსილებები. 2018 წლის 03 მარტის AR1581704 განცხადებით სამსახურში წარმოდგენილია ამხანაგობა ,,მზიანეთი''-ს 2013 წლის 09 დეკემბრის N1/12 კრების ოქმი, რომლის თანახმად, ამხანაგობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნუგზარ ორდენიძე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57–ე დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 08 ივნისის №4005781 ბრძანებაში და დამკვეთად ი.ბ.ა. "მზიანეთი"-ს (205281461) ნაცვლად დაფიქსირდეს შპს ,,იქსორი'' (405102829).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 08 ივნისის №4005781 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 08 ივნისის №4005781 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.